გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - **ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის** სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ.

1. ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს, თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დებულების შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი.

2. ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომლისთვის ან უფროსი მეცნიერ თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის N63/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 23 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებული ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი"-თ და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლითა და ,,საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით" მე-12 მუხლით.

3. კონკურსი ცხადდება სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელის დასაკავებლად:

ა) გამოყენებითი კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომლი (1 საშტატო ერთეული 10 წლის ვადით)

4. **კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს:**

4.1. მთავარი მეცნიერი - თანამშრომლისთვის დადგენილი ძირითი მოთხოვნები:

მთავარი მეცნიერი - თანამშრომლის თანამდებობაზე 10 წლის ვადით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 3 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით.

4.2. მთავარი მეცნიერი - თანამშრომლისთვის დადგენილი დამატებითი მოთხოვნები:

მთავარი მეცნიერი - თანამშრომლის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესითა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლით განსაზღვრულ კრიტერიუმებს საკონკურსოდ გამოცხადებული ვაკანსიის პროფილის მიხედვით.

5. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება:

5.1 გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით წარუდგინოს შესაბამის საკონკურსო კომისიას შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) განცხადება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი;
ბ) ავტობიოგრაფია (CV), სამეცნიერო პუბლიკაციების ნუსხითურთ; შედგენილი კონკურსანტისათვის მისაღები ფორმით მისი მოღვაწეობის სრულად ასახავად (ავტობიოგრაფია წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი ,ისე ელექტრონული (CD) სახით, ფაილის პორმატი-Word და PDF ფაილების სახით);
გ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის სურათიანი გვერდის ასლი;
დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;
ე) სამსახურეობრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა/შრომის წიგნაკის ასლი/სხვ.);
ვ) სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი
ზ) განყოფილების/ცენტრის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი დებულების პროექტი, სადაც მოცემული იქნება განყოფილების/ცენტრის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისა და ფუნქციების შესრულების მისეული ხედვა.

თ) ცნობა - სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ.

6. კონკურსი გამოცხადდეს 2025 წლის 2 აპრილიდან. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს 2025 წლის 22 აპრილიდან 2025 წლის 24 აპრილის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა). 10:00-დან 17:00 საათამდე, ინსტიტუტის შენობაში, თბილისი, თამარაშვილის №6, ოთახი №411. სამეცნიერო საბჭოს შემაჯამებელი ოქმი და დირექტორის ბრძანება გადაეცეს თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს არაუგვიანეს 2025 წლის 5 მაისისა.

7. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩეული პირი ითვლება არჩეულად ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში 10 წლის ვადით.

8. შედეგი ძალაში შედის სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსის შედეგის ძალაში შესვლისთანავე.